პრესრელიზი

2016 წლის 24-25 დეკემბერს, 11 საათზე **ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“** ორგანიზებით, პროექტის - „მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ ფარგლებში ჩატარდება ტრენინგი „თურქეთის რესპუბლიკაში შრომითი მიგრანტების უფლებების დაცვის მექანიზმები“.

ტრენინგს თურქეთის რესპუბლიკიდან მოწვეული კვალიფიციური იურისტი ისმაილ ჰათიფოღლუ გაუძღვება, რომელიც ისაუბრებს თურქეთის კანონმდებლობის შესახებ, თურქეთის რესპუბლიკაში შრომითი მიგრანტების უფლებების დაცვის მექანიზმებსა და რისკებზე, რაც თან ახლავს არალეგალურ დასაქმებას.

ტრენინგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ლეგალური შრომითი მიგრაცია და შრომის ნებართვის მიღებისათვის საჭირო პირობები. (განხილული იქნება თურქეთის კანონმდებლობა);
- არალეგალური მიგრაცია და მასთან დაკავშირებული რისკები;
- ტრეფიკინგი (შრომითი, ქალთა და სხვა). ტრეფიკინგის თავიდან აცილების საშუალებები და მეთოდები.

პროექტის „მიგრანტთა მდომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში“ მიზანია აჭარის რეგიონში დაბრუნებული მიგრანტებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი ცხოვრების ღირსეული პირობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, მიგრაციისა და განვითარების საკითხების დაკავშირება და მიგრანტთა ჩართულობის დონის ამაღლება რეგიონის ეკონომიკური განვითარების პროცესებში

მისამართი: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. # **18**, კორპუსი ა, ოფისი **#16** ,

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტის“

<u>**დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:**</u>
ტელ.: 241640; 241650; 599 000 664
ელ. ფოსტა: s.abuladze@intellect.org.ge
საკონტაქტო პირი: **სალომე აბულაძე**